პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 10 ივნისი, 1942 წ. № 135 (6451). ფასი 15 კაპ.

საუკეთესოდ მოვემზადოთ მოსავლის ასაღებად

დიდი სამამულო ომის დღეებში საქართველოს კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ზურგში დაუღალავი შრომით ზრდიან უხვ მოსავალს. მარცვლეულის ნათესებს კარგი პირი უჩანს. საომარ ვითარებაში მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში ბევრგან კარგად ემზადებიან თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის ასაღებად. მოწინავე მტს-ებში ფართოდ არის გაჩაღებული კომბაინების რემონტი, გაცხოველებით აწარმოებენ სათიბი, სამკელი, სალეწი მანქანების რემონტს. იქ, სადაც მოსავალი ხელით უნდა იქნას აღებული, სრულ წესრიგში მოჰყავთ ნამგლები და ცელები.

ქარელის, რუისის, დუშეთის, ასურეთის, გურჯაანის, წნორის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, მცხეთის, ყარაიის, სადახლოს მტს-ებმა შინა რესურსების ფართოდ გამოყენებით შეასრულეს კომბაინების რემონტის გეგმები.

მაგრამ ყველგან ასე როდია. გორის, შინდისის, წითელქალაქის, კასპის, თიანეთის, სართიჭალის მტს-ებს ჯერ რემონტიდან არ გამოუშვიათ არცერთი კომბაინი, რაც შეუწყნარებელია. საჭიროა ამ რაიონების პარტრაიკომებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა თავიანთ სხდომებზე განიხილონ რემონტის მიმდინარეობა და მიიღონ ყველა საჭირო ზომა რემონტის დასაჩქარებლად.

ბევრგან არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სალეწების, სამკელი, სამკელთვითმყრელი, ძნისმკრელი და მარცვალსაწმენდი მანქანების რემონტი, საკოლმეურნეო ბეღლების დეზინფექცია და რემონტი, ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ საკოლმეურნეო ტრანსპორტის სრულ წესრიგში მოსაყვანად.

მიმდინარე წელს კომბაინების და მოსავლის ასაღები მარტივი მანქანების და აგრეთვე ხელით ასაღები ინვენტარის დროულად სრულ წესრიგში მოყვანას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მარცვლეულის მეურნეობაში მოსავლის აღება ფრიად პასუხსაგები სამუშაოა. დიდი **სტალინი** გვასწავლის: „მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. დროზე აიღებ—მოიგებ, დააგვიანებ მოსავლის აღებას—წააგებ".

მოსავლის აღების მასობრივად დაწყებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მოსამზადებელი მუშაობის ფართოდ გასაშლელად. პარტიის რაიკომებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა, მტს-ებმა და პოლიტგანყოფილებებმა უნდა შეამოწმონ კოლმეურნეობებში მოსავლის აღებისათვის მზადყოფნა და ამთავითვე მიიღონ კონკრეტული ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საჭიროა მტს-ებმა დროულად შეადგინონ კომბაინებ.ს მოძრაობის მარშრუტი და უზრუნველჰყონ კომბაინების მაქსიმალური დატვირთვით მუშაობა.

მთელი სერიოზულობით უნდა მოვკიდოთ დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. არცერთი თავთავი არ დავტოვოთ აუკრეფავი—ამ ლოზუნგით უნდა გაიშალოს მუშაობა.

მოსავლის აღებისათვის მზადებაში წვრილმანები არ არის. აქ მნიშვნელოვანია როგორც თითოეული კომბაინის დროულად შეკეთება, ისე თითოეული ცელის გალესვა, საჭირო რაოდენობით ტომრების, ბეღლების მომზადება. ამასთან ერთად უნდა უზრუნველვყოთ მოსავლის საიმედოდ დაცვა მინდვრებში, ზვინებსა და კალოებზე. საკოლმეურნეო დოვლათის დაცვა თითოეული პატიოსანი კოლმეურნის წმინდათა-წმინდა მოვალეობაა.

მკის შემდეგ ძნების შეკვრა და ლეწვა ფრიად მნიშვნელოვანი სამუშაოებია და ეს სამუშაოები უნდა ჩავატაროთ გულმოდგინედ, საქმის სიყვარულით. სალეწები მაქსიმალური დატვირთვით უნდა მუშაობდეს.

მოსავლის აღება სინელესა და დაგვიანებას ვერ ითმენს. ასეთ სამუშაოზე შრომა დაძაბული და ნაყოფიერი უნდა იყოს. შრომის ნაყოფიერების ზრდაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დასახმარებლად სასოფლო - სამეურნეო სამუშაოებზე მობილიზებული ქალაქებისა და სასოფლო ადგილების ის შრომისუნარიანი მოსახლეობა, რომელიც მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში არ მუშაობს, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, საშუალო და არასრული საშუალო სკოლების მოსწავლეები.

მოსავლის აღებაზე გამოყენებულ უნდა იქნას ყოველი საათი, ყოველი წუთი. მოსავლის აღებაზე მუშაობა უნდა სწარმოებდეს გათენებიდან დაღამებამდე. ეს წესი განუხრელად უნდა დაიცვას ყოველმა კოლმეურნეობამ.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების, მტს-ების და პოლიტგანყოფილებების საბრძოლო ამოცანაა უზრუნველჰყონ მოსავლის აღებისათვის სანიმუშოდ მომზადება, ისე რომ აღების პერიოდში არ დაიკარგოს არცერთი კილოგრამი მარცვლეული. კოლმეურნეობებმა პირნათლად უნდა შეასრულონ პირველი მცნება და პირველი განაღწი პურით მოიხადონ თავიანთი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.

„პუტ კრესტიანინას" და სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა, ბოლშაია რაკოვსკაიას მტს-ის კოლექტივის მიმართვებს საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები მხურვალედ გამოეხმაურნენ. სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილენი შეუდგნენ სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას.

მოსავლის უდანაკარგოდ აღება და სახელმწიფო ვალდებულებათა დროულად და მთლიანად შესრულება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანას, რომლის წარმატებით განხორციელება ფრონტისათვის მძლავრი დახმარება იქნება.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ნ. დ. იაკოვლევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

წითელი არმიის ნაწილებისა და შენაერთების საარტილერიო საჭურვლით და საომარი მასალით უზრუნველყოფის დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე იაკოვლევი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 2 ივნისი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ი. ბ. სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თავდაცვითი პროდუქციის გამოშვების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნას ი. ბ. სტალინის სახელობის სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის მოსკოვის საავტომობილო ქარხანა ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1942 წ. 3 ივნისი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
შეიარაღების სახალხო კომისარიატის № 3 ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ახალი სახეების საჭურვლის წარმოებისა და ათვისების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნას შეიარაღების სახალხო კომისარიატის № 3 ქარხანა შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1942 წ. 3 ივნისი.

გამანადგურებელი თავდასხმა გერმანელთა აეროდრომზე

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 9 ივნისი (საკუთრ. სპეც. კორესპონდენტისაგან). № ნაწილის მფრინავები უეცრად დაესხნენ თავს მტრის დიდ აეროდრომს, რომელზედაც გერმანელებმა თავი მოუყარეს დიდძალ ავიაციას. სტალინურმა შევარდნებმა გამანადგურებელი სამხედრო მოვალეობის ოსტატურად შესრულების ნიმუშები გვიჩვენეს. მცირე სიმაღლიდან მარჯვე მოხვედრების შედეგად მათ მოსპეს 30-ზე მეტი თვითმფრინავი „მ-109" და „მ-115".

დ. შჩუკინი.

ფაშისტთა მხეცობა სმოლენსკის ოლქის ოკუპირებულ რაიონებში

დასავლეთის ფრონტი, 8 ივნისი (საკ. სპეც. კორესპონდენტისაგან). მოწინავე ხაზის ზურგიდან მოსულ პარტიზანები გვიამბობენ ფაშისტურ ტერორზე, რომელიც მძვინვარებს სმოლენსკის ოლქის გერმანელთა მიერ დროებით ოკუპირებულ რაიონებში. თითქმის ყოველდღე დამსჯელი რაზმები იჭრებიან სოფლებში, აწვავენ იქ ქოხებს, რომლებიც პირველად შეხვდებათ, აწამებენ გლეხებს. ხვრეტენ მრავალ სრულიად უდანაშაულო მცხოვრებს. არ ინდობენ არც ბავშვებსა და არც მოხუცებს.

სოფელ ლენინიცში მათ დასწვეს გლეხთა 20 სახლი და დახვრიტეს 12-80 წლამდე ასაკის 270 კაცი. დემიდოვში გესტაპოელებმა ცოცხლად დამარხეს ყველა, ვისზედაც ეჭვი ჰქონდათ მიტანილი, რომ ისინი მხარს უჭერდნენ პარტიზანებს.

დაკითხვის დროს ფაშისტი დამსჯელნი მხეცურ წამებას მიმართავენ. დასაკითხავ პირს ისინი თავს კასრში ჩააყოფინებენ, ტელეგრაფის მავთულით სცემენ ისე, რომ იგი ცნობიერებას ჰკარგავს, ხელებს უმტვრევენ, თვალებს სთხრიან, ყურებს სჭრიან, წამების შემდეგ კი ხვრეტენ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
9 ივნისის დილის ცნობა

8 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

მტრის ქვეითმა ჯარმა ტანკების დახმარებით იერიში მიიტანა საკავალერიო ნაწილზე, რომლის მეთაურიც არის ამხ. სოკოლოვი (კალინინის ფრონტი). გერმანელთა იერიში მოგერიებულ იქნა. ამასთან მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ბრძოლის ველზე დარჩა 620 მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და დიდძალი საჭურველი.

• • •

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს მტრის 250-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 2 საველე ქვემეხი და რამდენიმე დაზგის ტყვიამფრქვევი. არტილერიამ ჩაახშო მტრის ორი საქვემეხო და ერთი ნაღმსატყორცნი ბატარეის ცეცხლი. სხვა უბანზე გერმანელებმა ხუთჯერ სცადეს გარშემორტყმოდნენ ამხ. ვასილიევის ქვეგანაყოფს. ჩვენმა მებრძოლებმა მედგარი ბრძოლის დროს გაჟლიტეს 100-ზე მეტი ჰიტლერელი და დანარჩენები იძულებული გახადეს უკან დაეხიათ.

• • •

საავიაციო ნაწილმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. სამოხინი (დასავლეთის ფრონტი), უკანასკნელი შვიდი დღის განმავლობაში მთელი რიგი წარმატებითი ოპერაციები ჩაატარა. ჩვენმა მფრინავებმა მოსპეს მტრის ტანკებითა და ავტომანქანებით დატვირთული 4 სარკინიგზო ეშელონი, 7 ტანკი, 6 ავტომანქანა, 2 საზენიტო ქვემეხი, 4 ცისტერნი საწვავით, ააფეთქეს საომარი მასალების საწყობი და გაანადგურეს გერმანელთა შენაერთის შტაბი. საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია გერმანელთა 8 თვითმფრინავი.

• • •

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ნაწილის სამხედრო კომისარი ამხ. მანკოვსკი 6 მეავტომატესთან ერთად დაზვერვაზე წავიდა ტანკით. ტანკი სრული სიჩქარით შეიჭრა გერმანელების მიერ დაკავებულ სოფელ პ-ში და ცეცხლი დაუშინა მტრის ბლინდაჟებს. ჰიტლერელთა შორის პანიკა ატყდა. ისინი იარაღს ჰყრიდნენ, ხელს მაღლა სწევდნენ და თავიანთი საფრიდან გარბოდნენ. ბლინდაჟებიდან გამოვიდა და ტყვედ დაგვნებდა 59 გერმანელი ჯარისკაცი. მამაცმა მებრძოლებმა ნაწილის საკომანდო პუნქტში მიიყვანეს ტყვეები.

• • •

ორიოლელ პარტიზანთა რაზმმა ამხ. ბ-ს მეთაურობით გაანადგურა გერმანელთა ქვეითი ჯარის კოლონა. ოკუპანტებმა 80 გვამი დასტოვეს ბრძოლის ველზე. წამოღებულია 2 ქვემეხი, ავტომატური ზარბაზანი, ტყვიამფრქვევი და 5.000 ვაზნა. ამავე რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო რკინიგზის სარემონტო-აღმადგენელი მატარებელი საინჟინრო ქონებიანად. მოსპობილია ორთქლმავალი და 10 ვაგონი.

• • •

ამხ. ვ-ს რაზმელმა ახალგაზრდა პარტიზანმა ნიკოლოზმა უნგრელთა ნაწილის შტაბის ფანჯარაში შეაგდო გრანატი, რომელსაც მიბმული ჰქონდა მთელი შეკვრა ფეთქებადი ნივთიერება. აფეთქებით 12 ოფიცერი მოკვდა. მამაცი პარტიზანი უვნებელი დაბრუნდა თავის რაზმში.

• • •

გერმანელთა 126-ე ქვეითი დივიზიის ობერეფრეიტორ გ. ტაშეს უპოვნეს წერილი, რომელიც მშობლებისათვის უნდა გაეგზავნა გერმანიაში. ამ წერილში იგი სწერს: „ძველ ჯარისკაცთაგან ასეულში 7 კაცი დარჩა. დანაკლისის მიხედვით ჩვენს დივიზიას მეორე ადგილი უკავია მთელს არმიაში. პირველ ადგილზე არის „სს" დივიზია, მის შემდეგ ჩვენ ვართ. ბევრი რამ გვაქვს დასაფიქრებელი. ჩვენი დივიზიის ზოგიერთ ასეულს ამჟამად 15 კაცი ჰყავს".

• • •

გერმანელ ჯარისკაც ჰერჰარდ ვებერს მაგდებურგიდან (გერმანია) სწერენ: „ამას წინათ აქ ერთი ჯარისკაცი ჩამოვიდა. იგი ფრონტზე დაიჭრა და შვებულების შემდეგ კვლავ უნდა დაბრუნებულიყო რუსეთს. გამგზავრების წინა დღეს მან სახლში მოიკლა თავი".

9 ივნისის საღამოს ცნობა

9 ივნისის განმავლობაში ფრონტზე სწარმოებდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები და აქტიურად მოქმედებდნენ მზვერავი რაზმები.

ფრონტის **სევასტოპოლის** უბანზე ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მტრის მრავალი იერიში, ამასთან მტერს დიდი ზარალი მოუვიდა.

• • •

8 ივნისის განმავლობაში ფრონტის სხვადასხვა უბანზე ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 26 ტანკი, ჯავშნიანი მანქანა, 50 ავტომანქანა ჯარიანად და ტვირთიანად, 20 საზიდარი საომარი მასალა, 9 საარტილერიო და საზენიტო ბატარეა, 6 ნაღმსატყორცნი ბატარეა, 3 ტრაქტორი, ჩასძირეს ბუქსირი, გაფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მტრის სამ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

• • •

ფრონტის სევასტოპოლის უბანზე მტერი ანგარიშს არ უწევს ზარალს და განაგრძობს იერიშებს გმირი ქალაქის წინააღმდეგ. ჩვენი მებრძოლები იგერიებდნენ მტრის იერიშებს და მას დიდი ზარალი მიაყენეს. იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომლის მეთაურიც არის ამხ. ნოვიკოვი, გერმანელებმა იერიშზე გამოიყვანეს ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი. არტილერისტებმა და ნაღმსატყორცნელებმა მარჯვე ცეცხლით გაფანტეს ჰიტლერელები. ბრძოლის ველი მტრის მრავალი ასეულის გვამით არის მოფენილი. მტერმა შესძლო რამდენადმე შეევიწროვებინა მეთაურ ამხ. ვიშნიაკოვის ქვეგანაყოფი. მაგრამ უკვე ერთი საათის შემდეგ გადამწყვეტი კონტრიერიშით, რომელიც ხელჩართულ ბრძოლაში გადავიდა, ჩვენმა მებრძოლებმა უკუაქციეს გერმანელები. მტერს თავგანწირულად ებრძოდნენ იმ ნაწილის წითელფლოტელები, სადაც მეთაურად არის ამხ. გუსაროვი. გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა სევასტოპოლთან მხოლოდ ცალკეულ უბნებზე დღის განმავლობაში დაჰკარგეს 2.500 კაცი მოკლულთა სახით. მოსპობილია გერმანელთა 14 ტანკი და დაზიანებულია 10. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 7 თვითმფრინავი და დაზიანებულია 14.

• • •

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენი ნაწილები ეწეოდნენ მედგარ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ. ბრძოლის ველზე მტრის ასეულობით გვამი დარჩა. წამოღებულია 250 შაშხანა, 18 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი, 400 გრანატი, დიდძალი ყუმბარა, ნაღმი და სხვა სამხედრო ქონება. სხვა უბანზე წარმატებით მოქმედებს ქვეგანაყოფი, რომელსაც ამხ. პლოტნიკოვი მეთაურობს. რამდენიმე დღის განმავლობაში ამ ქვეგანაყოფის მებრძოლებმა გაჟლიტეს 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, გაანადგურეს მტრის ნაწილის შტაბი და ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

• • •

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა მოსპო მტრის 2 საარტილერიო ქვემეხი, 5 ნაღმსატყორცნი და დაანგრია 16 მიწური საცეცხლე წერტი. ჰიტლერელებმა 200-მდე კაცი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

• • •

დასავლეთის ფრონტზე, მტრის ზურგში, გრძელდებოდა ჩვენი ნაწილებისა და პარტიზანული რაზმების მედგარი ბრძოლები გერმანელ ფაშისტთა ჯარების დიდი ძალების წინააღმდეგ. ჩვენი ერთი ნაწილის მებრძოლებმა მტრის რამდენიმე იერიში მოიგერიეს და მას დიდი ზარალი მიაყენეს. გერმანელებმა მარტო მოკლულთა სახით 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 2 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა.

• • •

მეტყვიამფრქვევე პარტიზანს ამხ. ა-ს თავს დაესხა გერმანელთა ჯგუფი და იარაღი აჰყარა მას. შტაბში რომ მიჰყავდათ, პარტიზანმა ავტომატი გამოსტაცა თავის ერთ-ერთ თანმხლებ ჰიტლერელს, მოჰკლა ორი მცველი და მიიმალა. იმავე დღის საღამოს ამხ. ა. ერთ-ერთ სოფელთან ჩასაფრდა. გზად გერმანელთა რაზმი მიდიოდა. მამაცმა პარტიზანმა ტყვიამფრქვევის რამდენიმე ჯერით 26 ოკუპანტი გაჟლიტა.

• • •

მე-7 ავიადესანტო დივიზიის საპარაშუტო დივიზიონის 1-ლი ასეულის ტყვე ეფრეიტორმა გუსტავ ფროსტმა განაცხადა: „მარტში გამოგვიცხადეს, სამშობლოში მივდივართ, მაგრამ მოგვატყუეს. ჩვენ მართლაც ჩაგვსხედით ვაგონებში და გაგვგზავნეს, მაგრამ არა გერმანიაში, არამედ აღმოსავლეთის ფრონტის სხვა უბანზე. საპარაშუტო ნაწილების ჯარისკაცები აღშფოთებული არიან იმით, რომ მათ იყენებენ როგორც ქვეითებს. პირველად ჩვენ გვეგონა, რომ ეს დროებითი ზომა იყო, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდით, რომ ჩვენ სამუდამოდ გადაგვცეს სახმელეთო არმიის განკარგულებაში. რუსეთში ჩვენ გასული წლის დეკემბერში მოვედით. მაშინ ჩვენს ასეულში 220 მებრძოლი იყო. ახლა კი იქ მხოლოდ 58 კაცი დარჩა. დანარჩენი მოკლული და დაჭრილია. ჩვენ თავი უძლეველად მიგვაჩნდა. ახლა, რუსეთის ფრონტზე ყოფნის შემდეგ, ბევრ ჩვენგანს უკვე აღარა სწამს გერმანიის არმიის გამარჯვება".

• • •

გერმანელი უნტერ-ოფიცერი ვერნერ შლიხა თავის ნაცნობებს სწერს: „... დღისითა და ღამით სამაგელ ბლინდაჟში ვზივართ და ცხვირის გამოყოფას ვერ ვბედავთ. უკვე 11 თვეა თქვენ გეუბნებიან, რუსები გავტეხეთო. გარწმუნებთ, რომ ისინი ყოველდღე გვაგრძნობინებენ, თუ რა ძალა მოეპოვებათ. ახლა ჩემი სიცოცხლე გახვრეტილ ფარადაც არა ღირს. ჩვენ ყველანი დავიღუპებით. ამის შეგნება მძიმეა, მაგრამ ასეთია საერთო აზრი".

• • •

გერმანიის რადიო ბევრჯერ აქვეყნებდა ცნობას საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარების შესახებ. ამავე დროს გერმანელი ჯარისკაცებისათვის ამოჩენილ წერილებში ახლობლები სიმართლით აცნობებენ მათ ნამდვილ მდგომარეობას. ეფრეიტორ კარლ მიურს მშობლები სწერენ: „...აქ ჩვენი საქმე კარგად ვერ მიდის. საშემოდგომო ჭვავი თითქმის მთლად დაზრა, ქერიც დაილუპა, ხილახლა დასათესი კი არაფერი გვაქვნია". უნტეროფიცერ ჰერბერტ ჰებაკრელს დედა სწერს ერკლებენიდან: „დიდძალი ჭვავი დაილუპა. ვილჰელმ ბანკებს და ბევრ სხვას ხელმეორედ თესვა უხდებათ მაგრამ არც თესლია და არც მუშახელი". ჯარისკაცს მაუნს მამა სწერს: „... თავზარსა მცემს იმის ფიქრი, თუ შემდგომ როგორ უნდა ვიცხოვროთ. საუკეთესო მოსავლის დროსაც კი იმაზე ორჯერ ნაკლებ მოსავალს ავიღებთ, რაც შარშან ავიღეთ".

ფრონტის ხაზის გაღმა

მოქმედი არმია, 9 ივნისი (საკდეპის სპეც. კორესპონდენტისაგან). მტრის ზურგში არის ათობით საბჭოთა რაიონი, რომლებიც პარტიზანებს უჭირავთ და რომლებსაც ისინი იცავენ. ძალიან ხშირად ფაშისტური თავდაცვის მოწინავე ხაზი თავის ზურგთან დაკავშირებულია მხოლოდ პარტიზანთა ტერიტორიებს შორის დარჩენილი ვიწრო კორიდორებით.

საბჭოთა რაიონები ყოველთვიურად სულ უფრო და უფრო ფართოვდება. ერთ-ერთ ოლქში მარტო მაისის განმავლობაში პარტიზანებმა კიდევ ორი რაიონი შემოიერთეს. სახალხო შურისმგებელთა რაზმები, რომლებიც შაშხანით, ავტომატით, ტყვიამფრქვევით, ნაღმსატყორცნითა და არტილერიით არიან შეიარაღებულნი, მტერს უდიდეს ზარალს აყენებენ. ნ-ის რაიონის რაზმებმა, რომლებიც განუწყვეტლივ უწევენ კონტროლს მტრის უმნიშვნელოვანეს კომუნიკაციებს, მაისში ლიანდაგიდან გადააგდეს 10 ეშელონი ფაშისტთა რეზერვებიანად.

პარტიზანთა წარმატებებით მოქმედებით გაბოროტებულმა ფაშისტებმა შეტევა დაიწყეს საბჭოთა რაიონების წინააღმდეგ. გერმანელებმა პარტიზანების წინააღმდეგ გამოიყენეს არტილერიითა და ტანკებით შეიარაღებული გამოცდილი დამსჯელი რაზმები. მაგრამ ეს ცდა სრული მარცხით დამთავრდა. პარტიზანებმა ცნობა მიიღეს, ჩვენი თავდაცვის დასავლეთის უბანზე დამსჯელთა ორი ეშელონი მოდისო. მტრის შეხვედრა მეთაურ მ-ს რაზმს დაევალა. იმ სადგურთან, სადაც მტრის რაზმს მოელოდნენ, პარტიზანებმა სწრაფად მოიტანეს არტილერია, ნაღმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები და ჩასაფრდნენ. როდესაც სადგურზე მტრის ეშელონები მოვიდნენ, იქ მათ მძლავრი ცეცხლით შეხვდნენ. არტილერისტებმა მარჯვე ცეცხლით დაამსხვრიეს ვაგონები. გადარჩენილი გერმანელები პანიკამ მოიცვა და აქეთ-იქით გაიქცნენ. დამსჯელმა რაზმმა მარტო მოკლულთა სახით დაჰკარგა 200-ზე მეტი კაცი და თავისი საჭურვლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

იმავე ღამეს მდინარის ნაპირას მეთაურ ც-ს რაზმმა ასეთივე შეხვედრა მოუწყო დამსჯელ რაზმს, რომელიც დაახლოებით 800 კაცისაგან შესდგებოდა. როგორც კი ფაშისტები ტივებით შუა მდინარეში შეცურდნენ, მაშინვე ამოქმედდა პარტიზანთა არტილერია. პირველი ორი ტივი, რომლებითაც 100-ზე მეტი ფაშისტი გადმოდიოდა, დაიმსხვრა და ჰიტლერელი ჯარისკაცები მოსპობილ იქნენ.

განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა პარტიზანული რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში. აქ ფაშისტებმა არტილერიითა და ტანკებით შეიარაღებული დიდი ძალები გადმოისროლეს. ოსტატური მანევრირებით პარტიზანებმა 300-მდე ჰიტლერელი დახოცეს და გერმანელები მათ მიერ დაკავებული რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან განდევნეს.

საბჭოთა რაიონებში გამაგრებული პარტიზანები კვლავ ურტყამენ მტრის კომუნიკაციებს.

ვ. არიფიევი.

უკანასკნელი ცნობები
ინგლისის ავიაციის თავდასხმა რურის ოლქზე

ლონდონი, 9 ივნისი (საკდეპი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 8 ივნისს, ღამით, ინგლისის ბომბდამშენთა დიდმა შენაერთებმა იერიში მიიტანეს რურის ოლქის სამრეწველო რაიონებზე. დაბომბილ იქნა აგრეთვე დიეპის დოკები და მოწინააღმდეგის აეროდრომები ჰოლანდიასა და ბელგიაში. გამანადგურებელი ავიაციის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს აეროდრომებსა და რკინიგზის ობიექტებზე ჩრდილოეთ საფრანგეთსა და ჰოლანდიაში. სანაპირო დაცვის თვითმფრინავებმა ჩრდილოეთის ზღვაზე მოსპეს გერმანიის ერთი ჰიდროთვითმფრინავი.

ამ ოპერაციებიდან არ დაბრუნებულა ინგლისის 18 ბომბდამშენი.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ბრიუგეზე

ლონდონი, 9 ივნისი (საკდეპი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 8 ივნისს, დღისით, „ბოსტონ"-ბომბდამშენები ავიაგამანადგურებელთა ძლიერი ესკორტის თანხლებით დიდ შეტევით ოპერაციებს ატარებდნენ ლა-მანშის სრუტეზე და მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. დაბომბილ იქნა ბრიუგეს დოკები და სხვა ობიექტები.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოსა და შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატში

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა, რომლებმაც განიხილეს შავი მეტალურგიის მუშაკთა 1942 წლის მაისის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად აღიარეს და პირველი ადგილები მიაკუთვნეს შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის შემდეგ საამქროებსა და საწარმოებს:

სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის ქარხნის საბრძმედე საამქრო;

სტალინის სახელობის კუზნეცკის ქარხნის № 1 მარტენის საამქრო;

სტალინის სახელობის კუზნეცკის ქარხნის საშუალო ხარისხის საგლინავ საამქრო;

კემეროვოს ქარხნის საკოქსო საამქრო;

ვისოკაია გორას მაღარო.

მაისში ამ საამქროებმა და საწარმოებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფო გეგმა, შეასრულეს დაკვეთების გეგმა და მიაღწიეს ნედლეულისა და სათბობის ეკონომიას.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტეს:

სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის ქარხნის საბრძმედე საამქროს (ქარხნის დირექტორი ამხ. ნოსოვი, საამქროს უფროსი ამხ. იუპკო, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ბეკეტოვი, საამქროს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გრიგორიევი) გადაეცეს **თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა**, მიენიჭოს **„საბჭოთა კავშირის საუკეთესო საბრძმედე საამქროს"** წოდება და მიეცეს **პრემია;**

სტალინის სახელობის კუზნეცკის ქარხნის № 1 მარტენის საამქროს (ქარხნის დირექტორი ამხ. ბელანი, საამქროს უფროსი ამხ. სახაროვი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ალიმენკო, საამქროს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კაპუსტინი) გადაეცეს **თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა**, მიენიჭოს **„საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფოლადსადნობი საამქროს"** წოდება და მიეცეს **პრემია;**

სტალინის სახელობის კუზნეცკის ქარხნის საშუალო ხარისხის საგლინავ საამქროს (ქარხნის დირექტორი ამხ. ბელანი, საამქროს უფროსი ამხ. სიროვი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ბუდკო, საამქროს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. სტეპანენკო) გადაეცეს **თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა**, მიენიჭოს **„საბჭოთა კავშირის საუკეთესო საგლინავი საამქროს"** წოდება და მიეცეს **პრემია;**

კემეროვოს ქარხნის საკოქსო საამქროს (დირექტორი ამხ. მაქსიმოვი, საკოქსო უბნის უფროსი ამხ. დიდენკო, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ამხ. ორაზოვსკი, ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. ოსიპოვი) გადაეცეს **თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა**, მიენიჭოს **„საბჭოთა კავშირის საუკეთესო საკოქსო საამქროს"** წოდება და მიეცეს **პრემია;**

ვისოკაია გორას მაღაროს (მმართველი ამხ. ქვაილი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ოსიპოვი, მაღარკომის თავმჯდომარე ამხ. კირილოვი) გადაეცეს **თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა**, მიენიჭოს **„საბჭოთა კავშირის საუკეთესო მაღაროს"** წოდება და მიეცეს **პრემია;**

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად აღიარეს, მეორე ადგილები მიაკუთვნეს და გადასწყვიტეს პრემია მისცენ შემდეგ საამქროებსა და საწარმოებს, რომლებმაც მაისში შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფო გეგმა და მიაღწიეს ნედლეულისა და სათბობის ეკონომიას:

სტალინის სახელობის კუზნეცკის ქარხნის საბრძმედე საამქროს (ქარხნის დირექტორი ამხ. ბელანი, საამქროს უფროსის მოვალეობის ამსრულებელი ამხ. ქურებინი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ბატურინი, საამქროს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მარკოვი).

ქარხანა „სერპ ი მოლოტის" № 1 მარტენის საამქროს (ქარხნის დირექტორი ამხ. ილინი, საამქროს უფროსი ამხ. ლებედევი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. რომანოვი, საამქროს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. პოზნიაკოვი);

სტალინის სახელობის კუზნეცკის ქარხნის ფურცელსაგლინავ საამქროს (ქარხნის დირექტორი ამხ. ბელანი, საამქროს უფროსი ამხ. პავლოვსკი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. შევჩენკო, საამქროს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კისილოვი);

ნიჟნი ტაგილის ქარხნის საკოქსო საამქროს (დირექტორი ამხ. მირიანი, საამქროს უფროსი ამხ. უბოგენკო, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. მოროზოვი, ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. კუზნეცოვენკო);

მაზულის მარგანეცის მაღაროს (მმართველი ამხ. ვოლკოვი, პარტორგი ამხ. ილჩენკო, მაღარკომის თავმჯდომარე ამხ. არეფიევი).

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად აღიარეს, **მესამე ადგილები** მიაკუთვნეს და გადასწყვიტეს პრემია მისცენ შემდეგ საამქროებსა და საწარმოებს, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფო გეგმა და მიაღწიეს ნედლეულისა და სათბობის ეკონომიას:

ნოვო ტაგილის ქარხნის საბრძმედე საამქროს (ქარხნის დირექტორი ამხ. რიაზანოვი, საამქროს უფროსი ამხ. ლევინი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ოხოტნიკოვი, საამქროს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. რატნერი);

ალაპაევსკის ქარხნის მარტენის საამქროს (ქარხნის დირექტორი ამხ. კომოვი, საამქროს უფროსი ამხ. შმოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. დეგტიარევი, საამქროს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ისაკოვი);

სეროვის სახელობის ქარხნის მსხვილი ხარისხის საამქროს (ქარხნის დირექტორი ამხ. ლიაუდისი, საამქროს უფროსი ამხ. კოზულინი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. კალხოვსკი, საამქროს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. პისკოვსკი);

გუბახის ქარხნის საკოქსო საამქროს (დირექტორი ამხ. ბუბლიკოვი, საამქროს უფროსი ამხ. ედინოვი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი კოლიადი, ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. არტიუშევა);

ელიზავეტინსკის მაღაროს (მმართველი ამხ. ფელტიცკი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. უგინინი, მაღარკომის თავმჯდომარე ამხ. პოდკინი).

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოსა და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატში

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა, რომლებმაც განიხილეს სატანკო მრეწველობის მუშაკთა 1942 წლის მაისის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გამარჯვებულად აღიარეს:

ტანკის ქარხნებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში — კომინტერნის სახელობის ქარხანა;

ტანკებისათვის დიზელების დამამზადებელ ქარხნებსა და საამქროებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში—კიროვის ქარხანა;

ამ ქარხნებმა მაისში შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფო გეგმა, უზრუნველჰყვეს გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი, ტექნიკური პირობების შესაბამისად და თანაბრად მუშაობდნენ სადღეღამისო გრაფიკის მიხედვით.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტეს:

კომინტერნის სახელობის ტანკის ქარხანას (დირექტორი ამხ. ზალცმანი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ამხ. საპკოვი, ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. ფუქსი) გადაეცეს **თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა** და მიეცეს **პრემია.**

კიროვის ქარხანას (დირექტორი ამხ. მახონინი, მოტორის წარმოების უფროსი ამხ. ნევიაჟსკი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ამხ. კოზინი, ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. ბალაკირევი) გადაეცეს **თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა** და მიეცეს **პრემია.**

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ჯავშანკორპუსის ქარხნებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად აღიარეს „ურალმაშზავოდი", რომელმაც მაისში შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი, სხვა ქარხნებზე მეტი გადაჭარბებით შეასრულა გეგმა ჯავშანკორპუსთა დარგში, გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო გეგმა მთლიანად ქარხნის ხაზით და უზრუნველჰყო გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი ტექნიკური პირობების შესაბამისად.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტეს გადასცენ **„ურალმაშზავოდს"** (დირექტორი ამხ. მუზრუკოვი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ამხ. მედვედევი, ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. ლიუბიმოვი) **პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა** და მისცენ **პრემია.**

• • •

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მომიჯნავე წარმოებათა საწარმოებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად აღიარეს ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის № 654 ქარხანა, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა სატანკო მრეწველობის ქარხნებისათვის საჭირო პროდუქციის მიწოდების გეგმა, გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო გეგმა მთლიანად ქარხნის ხაზით და უზრუნველჰყო გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი ტექნიკური პირობების შესაბამისად.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტეს გადასცენ ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის **№ 654 ქარხანას** (დირექტორი ამხ. ზენსკი, პარტკომის მდივანი ამხ. პოდდუბკო, ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. ბლოშენკო) **პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და მისცენ პრემია.**

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტეს მისცენ პრემია კარგი მუშაობისათვის შემდეგ ქარხნებს, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფო გეგმა და უზრუნველჰყვეს პროდუქციის ხარისხი ტექნიკური პირობების შესაბამისად:

№ 76 დიზელის ქარხანას (დირექტორი ამხ. კოჩეტკოვი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ამხ. ხარიტონოვი, ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. სპირინი);

შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის სეროვის სახელობის მეტალურგიულ ქარხანას (დირექტორი ამხ. ლიადოვი),

საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის № 6 ბურთულსაკისრის ქარხანას (დირექტორი ამხ. პოტაპოვი)

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა აღნიშნეს კარგი მუშაობა შემდეგი ქარხნებისა, რომლებმაც მაისში შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი:

ტანკის ქარხნისა, რომლის დირექტორიც არის ამხ. ფრეზეროვი,

ტანკის ქარხნისა, რომლის დირექტორიც არის ამხ. იაკოვლევი,

ტანკის ქარხნისა, რომლის დირექტორიც არის ამხ. კორდუნერი,

კორპუსის ქარხნისა, რომლის დირექტორიც არის ამხ. ფედოტოვი,

შეიარაღების სახალხო კომისარიატის ქარხნისა, რომლის დირექტორიც არის ამხ. ელიანი,

შეიარაღების სახალხო კომისარიატის ქარხნისა, რომლის დირექტორიც არის ამხ. კოტლიარი,

ფერადი ლითონების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქარხნისა, რომლის დირექტორიც არის ამხ. შაროვი,

ფერადი ლითონების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ელექტროდის ქარხნისა, რომლის დირექტორიც არის ამხ. ნოსალი,

კემეროვოს კოქსქიმიური კომბინატისა (დირექტორი ამხ. მაქსიმოვი),

შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის რევდის ქარხნისა (დირექტორი ამხ. იგნატენკო).

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ განიხილა სახალხო კომისარიატების მიერ წარმოდგენილი მასალები იმ ქარხნების მუშაკთა 1942 წლის მაისის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებისა, რომელნიც საავიაციო მრეწველობის დაკვეთებს ასრულებენ, და გადასწყვიტა:

1. აღიარებულ იქნან სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და მიეცეთ პირველი პრემიები შემდეგ ქარხნებს, რომლებმაც მაისში გადაჭარბებით შეასრულეს საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის დაკვეთები, ამასთან დაიცვეს ხარისხი და კომპლექტურობა მთლიანად ქარხნის სახელმწიფო გეგმის შესრულებისას:

ფერადი ლითონების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ურალის ალუმინის ქარხანას (დირექტორი ამხ. სლავსკი),

სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 264 ქარხანას (დირექტორი ამხ. კორდუნერი),

სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მძიმე მანქანათმშენებლობის ურალის ქარხანას (დირექტორი ამხ. მუზრუკოვი),

ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის № 681 ქარხანას (დირექტორი ამხ. სლუცკი),

რეზინის მრეწველობის სახალხო კომისარიატის იაროსლავლის შინის ქარხანას (დირექტორი ამხ. ბადინკოვი),

სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კიროვის ქარხანას (დირექტორი ამხ. მახონინი),

2. აღიარებულ იქნან სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და მიეცეთ მეორე პრემიები შემდეგ ქარხნებს, რომლებმაც შეასრულეს საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის დაკვეთები მაისში, ამასთან დაიცვეს ხარისხი და კომპლექტურობა მთლიანად სახელმწიფო გეგმის შესრულებისას:

შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის ომუტნინსკის ქარხანას (დირექტორი ამხ. ალეინიკოვი),

ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის № 197 ქარხანას (დირექტორი ამხ. ბელოვი),

ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის № 590 ქარხანას (დირექტორი ამხ. მეშჩერიაკოვი),

შეიარაღების სახალხო კომისარიატის № 74 ქარხანას (დირექტორი ამხ. ივანოვი),

შეიარაღების სახალხო კომისარიატის № 357 ქარხანას (დირექტორი ამხ. მანინი),

ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 35 ქარხანას (დირექტორი ამხ. პიჟუგინი),

ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის კრასნაია პრესნიას ქარხანას (დირექტორი ამხ. ბატოევი),

ნაღმშეიარაღების სახალხო კომისარიატის ტომსკის ქარხანას (დირექტორი ამხ. ეურკოვი),

ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქარხანა „კლეიტუკ" (დირექტორი ამხ. კრულიაკოვი),

ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქარხანას „პობედა რაბოჩიხ" (დირექტორი ამხ. ტერეხინი),

ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის № 330 ქარხანას (დირექტორი ამხ. მამლინი).

ახალგაზრდობის მეორე ანტიფაშისტური მიტინგი

7 ივნისს მოსკოვში, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში, გაიმართა ახალგაზრდობის მეორე ანტიფაშისტური მიტინგი.

მიტინგი გახსნა საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარემ, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ევგენი ფედოროვმა.

სიამაყითა და პატივისცემით ახსენებს იგი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლთა—გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლების გმირთა სახელებს.

[illegible]

თავისი საბჭოთა სამშობლოს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, ინგლისისა და ამერიკის ქალიშვილებს მიმართავს თავისი სიტყვით № საავიაციო ქარხნის სტახანოველი ნადეჟდა ზამორალოვა.

— როცა ფრონტზე ახალი თვითმფრინავი მიდის, მე მიხარია, რომ ჩემმა ხელებმაც იშრომეს ამ მანქანისათვის. სიამაყით ვგრძნობ ჩემს თავს დიდი სამამულო ომის მონაწილედ. მაისის უკანასკნელი 12 დღის განმავლობაში ჩვენმა ბრიგადამ ორი თვის დავალება შეას-

[illegible]

სმოლენსკის მიწა-წყალი ნამდვილ პარტიზანულ მხარედ. ბევრმა ჩვენმა ახალგაზრდა პარტიზანმა თავისი საბრძოლო გმირობით საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა პარტიზანულ მხარეში და მთელ ჩვენს ხალხში. ამხანაგმა სტალინმა გვიბრძანა გავაძლიეროთ პარტიზანული ბრძოლა, გავანადგუროთ გერმანელი ოკუპანტები 1942 წელს. ჩვენო მამავ და ბელადო, თქვენი სიტყვა ურღვევი კანონია! სმოლენსკის ოლქის ახალგაზრდობა ბოლომდე შეასრულებს მას!

[illegible]

დებისაგან გავათავისუფლოთ საბჭოთა მიწა-წყალი.

დიდი ლენინის ნათელ ხსოვნას გეფიცებით თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ამ ბრძანებას შევასრულებთ!

ჩვენ, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა ქალვაჟნი, ჩვენი იარაღის ოსტატნი ვიქნებით, რათა შიგ შავსა და ბილწ გულში ვურტყათ მტერს.

ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებში შევისწავლით ჩარხს, ტრაქტორს ისე,

[illegible]

და ბულგარეთის ძმებს ახალგაზრდობას მიუბაძონ) თავიანთ იუგოსლაველ ამხანაგებს — პარტიზანული ომი გააჩაღონ მტრის ზურგში, გაათავისუფლონ ოკუპანტებისაგან ქალაქები და სოფლები, გაჟლიტონ დამპყრობთა დივიზიები.

ამხ. ივანე მიტინგის მონაწილეთ მიესალმება სმოლენსკის ოლქის ახალგაზრდა პარტიზანების სახელით.

პარტიზანული მოძრაობა რისხვად და სიკვდილად გადაიქცა ფაშისტებისათვის, ხოლო

[illegible]

საცემად.

„ამხანაგო სტალინ. — ნათქვამია მისასალმებელ წერილში. — თქვენ გვიბრძანეთ 1942 წელს საბოლოოდ გავანადგუროთ გერმანელ ფაშისტთა ჯარები და ჰიტლერელი არამზა-

[illegible]

მიის № გვარდიის ნაწილისაგან, საბჭოთა მეცნიერების ანტიფაშისტური კომიტეტისაგან, შორეულ აღმოსავლეთის ახალგაზრდობისაგან.

მიტინგი ტრანსლირებულ იქნა რადიოთი. (საკდესი).

მოვაწყოთ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა [illegible] სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება!

ფეხსაცმლის ფაბრიკა „ბურევესტნიკის“, ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ტყავეულის ქარხნისა და კოსინოს № 7 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მიმართვა საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის ყველა მუშაკისადმი

ამხანაგებო, მსუბუქი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო, ტექნიკოსებო და მოსამსახურენო!

ამხანაგ სტალინის მიერ წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხისათვის დასახული საბრძოლო ამოცანა — საბოლოოდ გაანადგურონ 1942 წელს გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი — მოითხოვს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით იძლეოდეს საპურველს, საომარ მასალას, ჩაცმულობას და უფრო და უფრო მეტად ამარაგებდეს გმირ წითელ არმიას, აგრეთვე უზრუნველჰყოფდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ფართო მოხმარების საქონლით.

[illegible]

6. სანიმუშოდ დავაყენოთ სასადილოს და დამხმარე მეურნეობის მუშაობა, აგრეთვე ყოველნაირად განვავითაროთ ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობა.

ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ტყავეულის ქარხანა:

1. უზრუნველვყოთ ფეხსაცმლის ფაბრიკების დროულად მომარაგება საჭირო ასორტიმენტის ტყავეულით.

2. ივნისში 3 პროცენტის გადამეტებით შევასრულოთ ტყავეული საქონლის გამოშვების გეგმა და ყოველთვიურად უზრუნველვყოთ გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

3. მთლიანად ტყავეულის ქარხნისათვის

[illegible]

ვება აბსოლუტური წყვილი ფეხსაცმლისა და 1942 წლის დამლევამდე ყოველთვიური გადამეტებით შევასრულოთ ფეხსაცმლის გამოშვების გეგმა.

5. 1942 წელს 250 მუშა ქალს შევასწავლოთ წამყვანი კვალიფიკაციები.

[illegible]

მეტი ფეხსაცმელი, ჩაცმულობა, პარაშუტი და საჭურველი მივცეთ წითელ არმიას! მეტი ფართო მოხმარების საქონელი მივცეთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას! ლენინ - სტალინის უძლეველი დროშით — წინ, გამარჯვებისაკენ!

მიმართვა განხილული და მიღებულია ფეხსაცმლის ფაბრიკა „ბურევესტნიკის“, ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ტყავეულის ქარხნისა და კოსინოს № 7 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საამქროების კრებებზე.

უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების დახმარების ფონდში

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე 11 და 12 ივნისს პიონერთა ძალებით აწყობს ფასიან მხატვრულ საღამოებს, რომლებზედაც წარმოდგენილი იქნება ბალეტი—„ნორჩი პატრიოტები“. შემოსული თანხები მთლიანად ჩაირიცხება უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების დახმარების ფონდში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

10 ივნისს, საღ. 8 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აუდ. № 90) დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კათედრის საჯარო სხდომაზე დოც. მ. მენაბდე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე:

„თანამედროვე ფრანგული ანტიფაშისტური პროზა“.

11 ივნისს, დღის 4 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარვინიზმისა და გენეტიკის კათედრის საჯარო სხდომაზე დოც. **გ. პაპალაშვილი** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე:

„საბჭოთა გენეტიკისა და სელექციის ამოცანები სამამულო ომის პირობებში“.

სხდომა შესდგება უნივერსიტეტის მესამე კორპუსში.

საქალაქო აგიტპუნქტში

11 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება სემინარის მორიგი მეცადინეობა აგიტსემინარებისა და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთათვის.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ონის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 4337637, გაცემული ქეთევან იასონის-ასულ **ხავთასის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1682717, გაცემული ტატიანა ტერენტის-ასულ **კვეტელიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი აცხადებს, **რომ** პარტბილეთი № 3723287, გაცემული თინათინ პორფილეს-ასულ **ლუტიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

საოპერა—10 ივნისს — „ტრავიატა“, 11 ივნისს — „მეფის საცოლე“. **რუსთაველის სახელობის** — 10 ივნისს—„ფლანდრია“, 11 ივნისს — „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“. **მარჯანიშვილის სახელობის** —10 ივნისს — „გრიგალი“, 11 ივნისს—„ხანუმა“. **მუსიკალური კომედიის** — 10 ივნისს — „ხაჯარათი“, 11 ივნისს—„სილვა“. **სანკულტურის** — 11 ივნისს—„პირისპირ“, 13 ივნისს — „სტუმარ-მასპინძლობა“. **მო-** [illegible] **ბის პარკი** — საცირკო ატრაქციონი, კინო, საერთო ევროპული ცეკვები ჯაზ-ორკესტრით. ბაღში სასულე ორკესტრი.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ.—„დიდი ვალსი“, **ოქტომბერი**—„ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **დამკვრელი**—„ტორეოკელი თერძი“. **კომკავშირელი** — „მელორე“, „ცა“ და „ჯოჯოხეთი“, **ხპარტაკი** — „სოროჩინის ბაზრობა“. **ლუქსემბურგის სახ.**—„ჯარისკაცი ფრონტიდან ბრუნ-** [illegible]

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

მაღალი მოსავლის მიღება ფრონტისათვის მძლავრი დახმარებაა

დაიწყო ქერის მოსავლის აღება

სიღნაღი („კომუნისტის“ კორ.). 9 ივნისს ალაზნის ველზე კოლმეურნეობებმა დაიწყეს ქერის მოსავლის ხელით აღება სოფ. მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებიდან პირველ დღეს ქერის აღებაზე მუშაობდა 65 კაცი და ქალი, კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებიდან — 30, **სოფ.** ძველი ანაგის კ. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობიდან — 35 და სოფ. ტიბაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობიდან—70.

9 ივნისს რაიონში ქერის მოსავალი აღებულ იქნა 50-ზე მეტ ჰექტარზე. მალე დაიწყება მოსავლის კომბაინით აღება.

ი. სიმონიშვილი

სოცშეჯიბრებამ წარმოშვა ორასოვანი ბრიგადები

ბათუმი („კომუნისტის“ კორ.). ომსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ლესნოის“ კოლექტივის მიმართვის პასუხად საბჭოთა მეურნეობები ჩაებნენ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მიმდინარე სოცშეჯიბრების დღეები აღინიშნა აღებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებით.

გონიოს ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობაში ახალი ენერგიით იბრძვიან იმისათვის, რომ შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 10 პროცენტით, ხოლო თვითღირებულება შეამცირონ 5 პროცენტით. გონიოს საბჭოთა მეურნეობა განაგრძობს შეჯიბრებას მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობასთან.

ახალშენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მ. რიამ ფუნდუკიძე დღეში 100 კილოგრამზე მეტ ჩაის ფოთოლს კრეფს, ხოლო სტახანოველები ს. ვოლკოვა და ე. ბონდერი დღეში ხუთ-ექვს ნორმას ასრულებენ.

შრომითი აღმავლობაა ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობის 522 სტახანოველიდან 250 ორასოვანია. დიდ წარმატებებს აღწევს კომკავშირელი ე. ტყემელაშვილი, რომელიც დღეში გეგმით გათვალისწინებული 15 კილოგრამის ნაცვლად 120-140 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. გეგმებს 600-ზე მეტი პროცენტით ასრულებენ სტახანოველები კ. მატვეენკო, ნ. პერევოზოვა, პ. დოლიძე და პ. გარბუზი.

სოცშეჯიბრების ფართოდ გაჩაღებამ მეურნეობაში წარმოშვა ჩაის კრეფის ორასოვანი ბრიგადები. მაგალითად, დღიურ დავალებებს ორასზე მეტი პროცენტით ასრულებენ პ. იმნაძის, მ. პაჭკორიას, ა. მოსტოვოის და მ. ლომთათიძის ბრიგადები.

ხ. ყურაშვილი

მოსწავლეებმა გააჩაღეს მუშაობა კოლმეურნეობებში

ქუთაისი („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ნაზშიროლის საშუალო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ორგანიზებულად გავიდნენ ამავე სოფლის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ფართობებზე სამუშაოდ და განაწილებულ იქნენ ბრიგადებსა და რგოლებში. მათ წინასწარ იციან, სად და რა სამუშაოზე იმუშავებენ არდადეგების პერიოდში.

მოსწავლეები წარმატებით ეხმარებიან კოლმეურნეებს. ამ მხრივ განსაკუთრებით დაწინაურდა მოსწავლეთა რაზმი, რომელსაც მასწავლებელი ლ. სინაურიძე ხელმძღვანელობს. მოსწავლეთა ჯგუფმა 5 ჰექტარი სიმინდი გამარგლა. მოსწავლეები: ა. სულუხია, ჯ. კრავიშვილი, გ. ბრიგაძე, მ. მუხაძე და ა. ალხაზიშვილი გამოიჩენენ: ნორმებს 150-180 პროცენტით ასრულებენ.

რ. კინწურაშვილი

გეგმების შესრულება

ცხაკაიას მტს-მა 1 ივნისისათვის ტრაქტორებით მუშაობის 1942 წლის პირველი ნახევრის გეგმა 101 პროცენტით შეასრულა — ნაცვლად 2.140 ჰექტარისა რბილ ხვნაზე გადაყვანით დამუშავებულია 2.161 ჰექტარი.

გეგმის შესრულებაზე საუკეთესოდ იმუშავა მეორე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ნ. კუპრეიშვილი) — დავალება შესრულა 124 პროცენტით და დაზოგა 1 ტონა საწვავი მასალა. მეორე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ი. გერსამია) გეგმა შეასრულა 103 პროცენტით.

კარგად იმუშავეს ტრაქტორისტებმა: წულაიამ—გეგმა 210 პროცენტით შეასრულა და დაზოგა 200 კილოგრამი საწვავი, სირიამ—გეგმა შეასრულა 127 პროცენტით და დაზოგა 134 კილოგრამი საწვავი, აგრეთვე გულიამ, ჩანტურიამ, ეჯიბიამ და სხვა ტრაქტორისტებმა.

ცხაკაიას მტს-ის დირექტორი **მაქაცარია**
პოლიტგანყოფილების უფროსი **ბალათურია**

• • •

ქარელი („კომუნისტის“ კორ.). აგარის მტს-მა საგაზაფხულო სამუშაოების გეგმა 120 პროცენტით შეასრულა. მტს-ის № 2 სატრაქტორო ბრიგადამ დავალება 350 პროცენტით შეასრულა და 2.900 კილოგრამი საწვავი მასალა დაზოგა. კარგად მუშაობს ტრაქტორისტი ნოზაძე, რომელმაც საშრომო დავალება 200 პროცენტით შეასრულა.

მტს-მა ვადაზე ადრე დაამთავრა აგრეთვე კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტი.

მტს-ი ჩაება სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება აიღო 1942 წლის გეგმა ვადაზე ადრე 120 პროცენტით შეასრულოს, კოლმეურნეობებში 10 პროცენტით გაზარდოს მოსავლიანობა, შეამციროს სატრაქტორო სამუშაოების თვითღირებულება, 20 პროცენტის გადამეტებით შეასრულოს ტრაქტორების დატვირთვის გეგმა, უზრუნველჰყოს სატრაქტორო პარკის შეუფერხებელი მუშაობა და სხვ.

ამ ვალდებულებათა განადიდებისათვის მტს-ში მუშაობა ახალი ძალით გაჩაღდა.

ვ ინასარიძე

საბჭოთა მოქალაქეებს აბუჩად იგდებენ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში

სტოკჰოლმი, 8 ივნისი (საკდესი). გერმანულ ფაშისტურ გაზეთ „ჰამბურგერ ფრემდენბლატში“ მოთავსებულია სამხედრო კორესპონდენტის სტატია, სადაც გაშუქებულია ის საკატორღო რეჟიმი, რომელიც დამპყრობლებმა დროებით ოკუპირებული საბჭოთა რაიონების მოსახლეობისათვის შემოიღეს. „დილაადრიან სოფლის 16-დან 70 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცი ჩუმად გამწკრივდება კომენდატურასთან. სწორედ 7 საათსა და 45 წუთზე აივანზე გამოდის გერმანელი უნტეროფიცერი გერმანული ენის მცოდნე ერთ-ერთი მცხოვრების თანხლებით. მას ხელთ უკავია სქელი წიგნი. იგი სიით გამოუძახებს შეკრებილთ, სწორედ ისე, როგორც ფილდფებელი ყაზარმის ეზოში. უწინარეს ყოვლისა, გამოჰყოფენ 3 კაცს ჯარის სადეზინფექციო კამერის გასათბობად და ცხელი წყლით მოსამარაგებლად. მათ მოჰყვება 5 ხელოსანი ტექნიკოსის მეთაურობით, რომლებსაც ნაბრძანები აქვთ შეაკეთონ არტილერიითა და ავიაბომბებით დაზიანებული შენობები. საშენი მასალების მისაღებად სახლებს ანგრევენ. 6 კაცი სათრიმლავში მუშაობს. დანარჩენი მამაკაცები ქუჩებს ჰგვიან, სახანძრო რაზმში მუშაობენ. მამაკაცებმა ვერც კი მოასწრეს სამუშაოდ წასვლა, რომ კომენდატურასთან გროვდებიან ქალები, ქალიშვილები და 12-16 წლის მოზარდები. კვლავ ხდება გამოძახება. მთელი მოსახლეობა გერმანიის ჯარების განკარგულებაშია. ქალები ალაგებენ ჯარისკაცთა ბინებს, რეცხავენ და აკერებენ ჯარისკაცთა თეთრეულს და კემსავენ წინდებს, ფცქვნიან კარტოფილს.

სოფელში დაბანაკებულ გერმანელ ჯარისკაცთა ასეულის მეთაურმა განკარგულება გასცა, სურსათი მხოლოდ იმ პირებს მიეცეთ, ვინც რეგულარულად მუშაობს გერმანელებისთვის. მან პირველსავე დღეს სასტიკი ბრძანება გამოსცა, რომ უკლებლივ მთელი სურსათის მარაგის რეკვიზიცია მოეხდინათ. თესლიც რეკვიზირებულია. ცხენის ხორცი საწუკვარ საჭმელს წარმოადგენს“.

„გერმანელთა წესრიგი, — სწერს დასასრულს კორესპონდენტი, — მკაცრია. ერთი ყმაწვილი, რომელმაც რაღაც დააშავა, პოლიციელთან მიიყვანეს; პოლიციელმა იგი ისე გაამათრახა ღვედის სარტყლით, რომ ეს მას დიდხანს დაამახსოვრდება“.

ბრძოლა მიდუეის კუნძულთან

ნიუ-იორკი, 9 ივნისი (საკდესი). ამერიკის ფლოტის სარდალმა ადმირალმა კინგმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გრძელდება საზღვაო ოპერაციები რაიონში, რომელიც განვრცობილია ჰავაის კუნძულებიდან ალეუტის კუნძულებამდე. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს ამ ოპერაციების დროს შედარებით მცირე ზარალი მოუვიდათ.

კინგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიდუეის კუნძულთან მომხდარმა საზღვაო ბრძოლამ დაასუსტა იაპონიის ფლოტის შეტევითი ძალები. მიდუეის კუნძულთან გამართულ ბრძოლაში, ალბათ, იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების დიდი ნაწილი იღებდა მონაწილეობას.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, მიდუეის კუნძულთან წარმოებული ბრძოლა ახლანდელი ომის უდიდეს საზღვაო და საჰაერო ბრძოლას წარმოადგენს. ბრძოლაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ამერიკის სახმელეთო ბომბდამშენებმა და თვითმფრინავებმა, რომლებიც ავიანოსნებიდან მოქმედებდნენ.

ლონდონი, 9 ივნისი (საკდესი). გაზეთი „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ იაპონიის ესკადრაში განსაკუთრებით ძლიერ იყო წარმოდგენილი ავიანოსნები და რომ მის შემადგენლობაში ტრანსპორტები შედიოდა, რაც იმას მოწმობს, რომ მოწინააღმდეგეს განზრახვა ჰქონდა ხელში ჩაეგდო მიდუეის კუნძული. ამნაირად იაპონელებს იმედი ჰქონდათ, რომ მიიღებდნენ საზღვაო ბაზას, საიდანაც მათ შესაძლებლობა ექნებოდათ დაერტყათ თვითონ ამერიკის კონტინენტისათვის. მაგრამ ამერიკის შეიარაღებული ძალები სავსებით მომზადებული იყვნენ წინააღმდეგობის გასაწევად. მოწინააღმდეგეთა ფლოტები ერთმანეთს არ შეხვედრიან ისე, როგორც ეს მარჯნის ზღვაში მომხდარი ბრძოლის დროს იყო. მთელი ზარალი, რომელიც მოწინააღმდეგეს მოუვიდა, მას ავიაციის მიერ ჩამოყრილმა ბომბებმა და ტორპედებმა მიაყენეს. აღნიშნავენ, იაპონიის საზღვაო გემები, კრეისერები და ტრანსპორტები ისე მძიმედ დაზიანდნენ, რომ საეჭვოა, შესძლებენ თუ არა ისინი თავიანთ ბაზებში დაბრუნებას.

საზღვაო ბრძოლა ბელგიის სანაპიროსთან

ლონდონი, 8 ივნისი (საკდესი). ინგლისის რადიოს ცნობით, 7 ივნისს, დილით, ბელგიის სანაპიროსთან ინგლისის მსუბუქმა საზღვაო ძალებმა ბრძოლა გაუმართეს გერმანიის საზღვაო ძალებს, რომლებიც მათ მნიშვნელოვნად სჭარბობდნენ. ჩაძირულია გერმანიის ერთი ნაღმოსანი. ინგლისის ერთი მსუბუქი ხომალდი ცოტათი დაზიანდა.

ჰიტლერელები ცდილობენ დაუმალონ მოსახლეობას ინგლისელთა მიერ დაბომბვის შედეგები

ნიუ-იორკი, 8 ივნისი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, გერმანიის პროპაგანდის სამინისტრო ყოველნაირად ცდილობს დაუმალოს გერმანიის მოსახლეობას ინგლისელთა მიერ საჰაერო დაბომბვის შედეგები. მაგალითად, ხელისუფალთა განკარგულებით აკრძალულია გავავრცელონ სხვა რაიონებში კელნისა და ესენის გაზეთები, რომელთა გამოსვლა ამ ცოტა ხნის წინათ განახლდა.

რაინის ოლქიდან ლტოლვილნი ბერლინს ჩავიდნენ, მაგრამ უცხოელ კორესპონდენტებს ნება არ დართეს გადასცენ მათი ნაამბობი.

რაინის ოლქიდან მომავალი გზები სავსეა ლტოლვილებით. ბევრმა მუშამ თავისი საწარმოები დასტოვა.

საფრანგეთის საწინააღმდეგო კამპანია იტალიაში

ლონდონი, 9 ივნისი (საკდესი). იტალიური პრესა კვლავ ილაშქრებს საფრანგეთის წინააღმდეგ. „გაძეტა დე პოპოლო“ ნიცისა და აიაჩოს (კორსიკა) ფრანგ ეპისკოპოსებს ბრალად სდებს იტალიის საწინააღმდეგო მოქმედებას.

გაზეთი „პოპოლო დ'იტალია“ თავს ესხმის ფრანგებს იმისათვის, რომ მათ არა სურთ ოკუპანტების სასარგებლოდ იმუშაონ.

დაიწყო მიღება თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტულ ინსტიტუტში 1942-43 ს. ქართულ და რუსულ სექტორებზე

ფარმაცევტული ინსტიტუტი ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის ფარმაცევტებს.

კურსდამთავრებულნი იგზავნებიან სამუშაოდ ხელმძღვანელ თანამდებობაზე აფთიაქებში, ფარმაცევტულ ქარხნებში და საკონტროლო ანალიზურ ლაბორატორიებში.

ინსტიტუტში მიიღებიან მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ისინი, ვინც 1941 და 1942 წლებში დაამთავრა საშუალო სასწავლებელი „ფრიადი“ და „კარგი“ ნიშნით ყველა საგნებში. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე უგამოცდოდ ჩაირიცხებიან აგრეთვე ისინიც, ვინც 1941 და 1942 წლებში დაამთავრა საშუალო სასწავლებელი საკმაო ნიშანზე (ე. ი. არა ფრიადზე და კარგზე).

იმ შემთხვევაში, თუ საკმარისი რაოდენობა თავისუფალი ადგილებისა არ დარჩება, საკმაო ნიშანზე კურსდამთავრებულებმა უნდა ჩააბარონ საკონკურსო გამოცდები.

საკონკურსო გამოცდებით ჩაირიცხებიან აგრეთვე ტექნიკუმის, მუშფაკის, მოზრდილთა საშუალო სკოლის, სამედიცინო სკოლის და ფარმაცევტული სკოლის კურსდამთავრებულნი და ისინიც, ვინც 1941 წლამდე დაამთავრა საშუალო სასწავლებელი, და ის პირნი, ვინც მიიღო საშუალო სკოლის ატესტატი ექსტერნატის წესით.

გამოცდა იწარმოებს შემდეგ საგნებში: ა) ფიზიკაში, ბ) ქიმიაში, გ) რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), დ) ქართულ ენაში (წერა და ზეპირი).

განცხადებების მიღება სწარმოებს 1 ივნისიდან 31 ივლისამდე ინსტიტუტის კანცელარიაში: თბილისი, პეროვსკაიას ქ. № 22.

ჩარიცხვა ინსტიტუტში ფრიადოსნებისა და 1941—1942 წლებში „ფრიადი“ და „კარგი“ ნიშნით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებისა სწარმოებს 1 ივნისიდან 31 ივლისამდე. ყველა დანარჩენებისა—უგამოცდოდ 1-დან 15 აგვისტომდე, ხოლო საკონკურსო გამოცდებით 25-დან 29 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 15-დან 25 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება 1/სექტემბერს.

მუხრანის საბჭოთა მეურნეობის დირექცია იუწყება შამპანური კომბინატის კასპის ქარხნის მმართველობის დირექტორის **ილია ლუკას-ძე ლომთაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10/VI, 6 ს. გამოსვენება შავი ზღვის ქ. № 7. 717

ა.-კ. რკინიგზის საავადმყოფოს ტრამვული განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან განყოფილების გამგის პროფ. ბესარიონ ოქროპირიძის დედის **ნინო გიორგის-ასულ ოქროპირიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. გორში 11/VI, ჰავჭავაძის ქ. № 3. 718

საქ. ფარმაკო-ქიმიური მრეწველობის სამმართველო და აფთიაქთა იუწყებიან **მიხეილ გიორგის-ძე ქავთარაძის** და **დარია გრიგოლის-ასულ გრიგორაშვილი-ქავთარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. თერჯოლაში. 720

თბილისის 32-ე საშუალო სკოლის დირექცია, ადგილკომი და პედკოლექტივი იუწყებიან მასწავლებელ ნადია კუკუხიძის დის **ჟენია საბას-ასულ კუკუხიძე-ლეონიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/VI, 8 ს. კალეუნის ქ. № 14, გამოსვენება 11/VI, 6 ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 713

თბილისის მე-29 საბავშვო ბაღის მასწავლებელთა კოლექტივი იუწყება მასწავლებელ ნადია დარახველიძის მოულოდნელ **ლიდა თედორეს-ასულ დარახველიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/VI, 7½ ს. ნეკრასოვის ქ. № 8, გამოსვენება 11/VI, 6 ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1719

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 23. უე 7672